საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

ქ. ბათუმი 2011 წლის 03 ოქტომბრი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 70

ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის
წარჩინებულ სტუდენტთა სახელობითი სტიპენდიის გაცემის წესში
ცვლილებების შეტანის შესახებ

,,ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლის, ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შევიდეს ცვლილება ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის წარჩინებულ სტუდენტთა სახელობითი სტიპენდიის გაცემის წესში:

ა) პირველი მუხლის პირველ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: „სსიპ-ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის წარჩინებულ სტუდენტთა სახელობითი სტიპენდია (შემდგომში - „სტიპენდია") გამიზნულია პროფესიული და აკადემიური განათლების ორივე დონის იმ სტუდენტთა წახალისებისათვის, რომლებიც სწავლობენ ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტში (შემდგომში - „უნივერსიტეტი") და არიან გამორჩეულნი სწავლაში მიღწეული წარმატებებით, აგრეთვე აქტიური სამეცნიერო - შემოქმედებითი საქმიანობით."

ბ) პირველი მუხლის მე-5 პუნქტიდან ამოღებულ იქნას მინიჭებული სტიპენდიის ხანგძლივობა და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: „საკონკურსო შერჩევის საფუძველზე სტიპენდია გაიცემა სემესტრული შედეგების მიხედვით."

გ) მეორე მუხლის მეხუთე პუნქტში განცხადებების მიღების ვადა ნაცვლად 20 კალენდარული დღისა შემცირდეს 10 კალენდარულ დღემდე.

დ) მე-4 მუხლს დაემატოს მე-4 პუნქტად „პროგრამული დაფინანსების მქონე სტუდენტებს ეკრძალებათ კონკურსში მონაწილეობა."

ე) მე-6 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: .საკონკურსო დოკუმენტაციის განხილვასა და შეფასებას ახორციელებს კომისია საბუთების მიღების დასრულებიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში და გადაწყვეტილებას წარუდგენს აკადემიურ საბჭოს".

2. დადგენილება დასამტკიცებლად წარედგინოს წარმომადგენლობით საბჭოს.

3. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს
თავმჯდომარე **ე. მესხია**